

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს  
2015 წლის 20 მარტის  
დადგენილება № 1474

სტუ-ში აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო  
პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის საფუძველზე ჩარიცხული ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების ერთი წლის (60 ECTS კრედიტის) სწავლის საფასური განისაზღვროს 2250 ლარის ოდენობით.
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 52<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის და „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩარიცხული ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების, ერთი წლის (60 ECTS კრედიტის) სწავლის საფასური განისაზღვროს ეროვნულ ვალუტაში (ლარი) შემდეგნაირად:

სწავლების ენა	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
ქართული	3000	3500
რუსული	3500	4000
ინგლისური	4500	5500

- საქართველოს მოქალაქე დოქტორანტების ერთი წლის (60 ECTS კრედიტის) სწავლის საფასური განისაზღვროს 2250 ლარის ოდენობით.
- უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე დოქტორანტების ერთი წლის (60 ECTS კრედიტის) სწავლის საფასური განისაზღვროს ეროვნულ ვალუტაში (ლარი) სწავლების ენის შესაბამისად: ქართული – 4000 ლარი, რუსული – 4500 ლარი, ინგლისური – 6500 ლარი.
- დადგენილების მეორე და მეოთხე პუნქტები ძალაში შევიდეს 2015-2016 სასწავლო წლიდან.
- ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) აღნიშნული დადგენილების დამტკიცება.
- საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სხდომაზე წარადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქ. ქოქრაშვილი.

